ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 571

22 ნოემბერი
"---" -------- 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №491 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 პუნქტის და „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №23.1435.1613 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 ნოემბრის №24.1897.2135 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №23.1435.1613 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 ნოემბრის №24.1897.2135 განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკითხზე;

2. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №491 განკარგულებაში და აღნიშნული განკარგულების დანართი 1-ის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირის - ანდრო მაჭავარიანის (პ/ნ. 01014001149) ნაცვლად, ქონების მიმღებ პირად განისაზღვროს ლაშა მაჭავარიანი (პ/ნ. 01011015406);

3. ლაშა მაჭავარიანთან (პ/ნ. 01011015406) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისათვის განსაზღვრული 3 (სამი) თვიანი ვადის ათვლა დაიწყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულების გამოცემის დღიდან;

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე